ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1472688

ნომერი: AR1241503

თარიღი : 01.08.2014

გაცემის თარიღი : 11.09.2014

გაცნობის თარიღი : 22.09.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გოგებაშვილი , N 44 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვასილ თაყაიშვილი პ/ნ 01006009900
- თბილისი ნ. და კ. სალიების ქ. N 29

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 03.05.2007 წლის #4942 ქალაქმშენებლობით პირობებში ცვლილების და დამატების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2014 წლის 08 იანვარს #AR1241503 განცხადებით მომართა ამხანაგობა „გოგებაშვილი 44“–ის თავმჯდომარემ ვასილ თაყაიშვილმა და მოითხოვა ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 03.05.2007 წლის #4942 ქალაქმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანა, კერძოდ საპროექტო მიწის ნაკვეთის კონფიგურაციის შეცვლა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 03.05.2007 წ. #01.15.02.048.009 (385 კვ.მ) საკადასტრო ერთეულზე საშუალო ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით დამტკიცებულ იქნა

#4942 ქალაქმშენებლობითი პირობები. საპროექტო ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარების ფუნქციური ზონაა: განაშენიანების საშუალო ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა 3 (სზ–3). აღნიშნულ ზონაში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, დასაშვებია საშუალო ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. განმცხადებლის მიერ სამსახურში წარმოდგენილი იქნა მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდისა და ფართობის უცვლელად ახალი ამონაწერი (განცხადების რეგისტრაციის #882014356339, მომზადების თარიღი: 09/07/2014) და საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (განცხადების რეგისტრაციის #882014356339, მომზადების თარიღი: 08.07.14), რომლის თანახმადაც შეცვლილია მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. დღეისათვის ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური აღარ არსებობს, ხოლო ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს ქალაქ თბილისის მერის 2009 წლის 9 მარტის #194 განკარგულებით მინიჭებული აქვს უფლებამოსილება შეიტანოს ცვლილებები ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის და იმ საქალაქო სამსახურების სამართლებრივ აქტებში ვისი სამართალმემკვიდრეც იყო ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახური.

ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მიწის ნაკვეთის კონფიგურაციის ცვლილება უნდა აისახოს ქალაქმშენებლობით პირობებში, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 03.05.2007 წლის #4942 ქალაქმშენებლობით პირობებში შეცვლილი კონფიგურაციის დაფიქსირებასთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა, ქალაქ თბილისის მერის 2009 წლის 9 მარტის #194 განკარგულების და "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 03.05.2007 წლის #4942 ქალაქმშენებლობით პირობებს დაემატოს ახალი საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (განცხადების რეგისტრაციის #882014356339, მომზადების თარიღი: 08.07.14); საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წერილი #დ/13/12/40 (29.08.2014) და საპროექტო ტერიტორიაზე დასმული განაშენიანების რეგულირების ხაზების სქემატური ნახაზი;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 03.05.2007 წლის #4942 ქალაქმშენებლობით პირობებთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.